დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია, მეშვიდე საფეხური

შპს სქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 25 მაისი, 2026
დასკვნის წარდგენის თარიღი: 13 ივლისი, 2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 17

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 24

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 31

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივაანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია დაღელიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანფორმაცია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Human Capital Management and Digital Transformatio
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მენეჯმენტის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენჯმენტი და ადმინიტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 2025 წლის 24 იანვარი. N122163 გადაწყვეტილება (7 თებერვალი, 2025);
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულია კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში (N122163 გადაწყვეტილება (7 თებერვალი, 2025). აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული სტანდარტების საერთო შეფასება, კერძოდ, საბჭომ სტანდარტის 1.4 კომპონენტთან დაამატა რეკომენდაცია. საბჭომ ამოიღო სტანდარტის 1.5 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია. შედეგად სტანდარტის 1.5 კომპონენტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, პირველი სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოო შეფასებით, პირველი, მეორე და მეხუთე სტანდარტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო მესამე და მეოთხე - სრულ შესაბამისობაში.

ასევე, საბჭოს მიერ განსაზღვრული მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვრა 1 წელი- 2026 წლის 24 იანვრამდე პერიოდი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით N MES 1 26 0000511713 (30/04/2026) - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შესახებ - ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2026 წლის 03 აპრილის №3325 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №404291, 03/04/2026) წარმოდგენილი „ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის I, II, IV და V სტანდარტების შესაბამისობის შემოწმება. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის განხორციელება განისაზღვრა 2026 წლის 25 მაისს (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით N MES 1 26 0000511713 (30/04/2026).

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ასევე, ჩაატარა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოოფი9ს სამსახურის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან. გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები:

1. სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან ბმის რუკა
2. გასაუბრების თემატიკა და შეფასების რუბრიკა
3. ინგლისური ენის გამოცდის შაბლონი და შეფასების სქემა
4. სამაგისტრო ნაშრომები
5. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია

6. მემორანდუმები დამსაქმებლებთან
7. ინფორმაციები სტუდენტთა კონფერენციების და ღონისძიებების შესახებ
8. პლაგიატის პოლიტიკა და Turnitin-ის გამოყენების მტკიცებულება
9. დატვირთვების ცხრილი
10. აფილირების დოკუმენტები
11. სამეცნიერო აქტივობის მტკიცებულებები
12. ბოლო 5 წლის პუბლიკაციები
13. ბიბლიოთეკის რესურსების ჩამონათვალი
14. საერთაშორისო ბაზებზე წვდომა
15. პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები

ინსტიტუციამ უზრუნველყო შეფასებისთვის შესაფერისი გარემო და წარმოადგინა გამოთხოვილი დოკუმენტები. ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასეული პროგრამა სრულ შესაბამისობაშია, I, II, IV და V სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ხოლო აკრეიტაციის საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

- **რეკომენდაციები**

არ არის.

- **რჩევები**

სასურველია, შედეგებში კომპენსაციის საკითხების ცოდნასთან ერთად აისახოს დანახარჯისა და სარგებლის ასპექტების ანალიზის უნარების გამომუშავების საკითხი (1.2)

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,**

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა არის 22 (მათ შორის 10 აკადემიური, 12 მოწვეული პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე 7 პერსონალი. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; - 10/12; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა - 10/22;

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამის განმახორიცელებელმა პერსონალმა 2021-2026 წლებში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში ჯამში გამოაქვეყნეს 111 სამეციერო პუბლიკაცია, ხოლო ადგილობრივ ჟურნალებში კი - 5 პუბლიკაცია. ადგილობრივ და კონერენციებში მონაწილეობა 2021-2026 წლებში - 27.

პერსონალის ჰირშის ინდექსები სამეცნიერო ბაზებში

#	სახელი გვარი	H-index Google Scholar	H-index Scopus
1	მარიამ ჯანჯარია	5	3
2	როია ანვარი	20	7

3	იზა გიგაური	27	14
4	რევაზ ტაბატაძე	1	1
5	ნატა სტურუა	1	1
6	ნინო ჯღამაძე	2	1

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) - ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალიდან 2 მოწვეულმა ლექტორმა შეწყვიტა პროგრამაში მონაწილეობა, რაც პროგრამაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობის (22 პირი) 9.1% შეადგენს. ამავე პერიოდში პროგრამას დაემატა 2 პროფესორი, რაც ასევე საერთო რაოდენობის 9.1% არის. შესაბამისად, პერსონალის გადინების მაჩვენებელი შეადგენს 9.1%, ხოლო პერსონალის რაოდენობრივი ბალანსი უცვლელია.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში) - აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან აკრედიტაცია მოიპოვა „ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის“ ერთწლიანმა აღმასრულებელმა სამაგისტრო პროგრამამ. შინაარსობრივი მიმართულებისა და მიზნობრივი აუდიტორიის ნაწილობრივი თანხვედრის გამო, ერთწლიანმა პროგრამამ ორწლიან პროგრამას შიდა კონკურენცია გაუწია.აბიტურიენტების ნაწილი, რომელიც თავდაპირველად ორწლიან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვას გეგმავდა და ამასთანავე აკმაყოფილებდა Executive MBA-ის პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმებს, არჩევანს ერთწლიან პროგრამაზე აკეთებდა. მათთვის ერთწლიან პროგრამაზე გადასვლის ძირითადი საფუძველი იყო კვალიფიკაციის უფრო მოკლე ვადაში მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, ორწლიან პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მცირე რაოდენობა არ მიუთითებს აღნიშნული მიმართულებით ინტერესის შემცირებაზე. იგი უმთავრესად გამოწვეულია იმავე შინაარსობრივი მიმართულების ერთწლიანი პროგრამის ამოქმედებითა და პოტენციური სტუდენტების ნაწილის აღნიშნულ პროგრამაზე გადანაწილებით. ამდენად, ჩარიცხვის მაჩვენებლის შეფასებისას მიზანშეწონილია ორივე პროგრამის მონაცემების ერთობლივად განხილვა.

წელი		**გამოცხ. ადგ.**	**ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა**
2023/2024		15	1
2024/2025		10	1
2024/2025	2025 წლის გაზაფხული (ერთწლიანი)	10	10
2025/2026		10	3

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ინსტიტუციამ გაიზიარა დასკვნის პროექტში პროგრამის განვითარებისკენ გადადგმული თვალსაზრისები.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. კერძოდ, ,,ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანია კერძო და საჯარო ორგანიზაციებს მიაწოდოს მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო კვალიფიციური საშუალო და მაღალი რგოლის HR მენეჯერი, რომელსაც აქვს ინოვაციური და თანამედროვე ტენდენციებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა ადამიანური კაპიტალის მართვაში, ბიზნესის ხედვა, HR სფეროში მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გამოყენების, ციფრული ინტეგრაციის უნარები; შეუძლია პატივისცემასა და მერიტოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურის შექმნაში საკუთარი წვლილის შეტანა, ეფექტიანი პროფესიული ურთიერთობების დემონსტრირება“.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში სწავლების ორგანიზაციის თავისებურების ნაწილში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ,,ბიზნესის ადმინისტრირებაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 120 (ECTS) კრედიტი. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის დიპლომის მისაღებად სტუდენტმა უნდა გაიაროს ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი საგნები (102 ECTS), მათ შორის სამაგისტრო კვლევითი პროექტი (18 ECTS)“ .პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერციუს პროცესში აღინიშნა, რომ ეს ტექნიკური ხარვეზია და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია გასწორებული ვარიანტი. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ვებ-გვერდი და დადასტურდა, რომ ინფორმაცია პროგრამის აღნიშნულ ნაწილში დაკორექტირებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი :https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=6053

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის მისია თავისი საქმიანობა მიმართოს ცოდნის წარმოებისა და პიროვნების განათლებისკენ, რაშიც გულისხმობენ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით

პროგრამა სწავლის ექვს შედეგს უზრუნველყოფს. ისინი არ არის დაჯგუფებული ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობების მიხედვით, თუმცა ფორმულირებებში წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერისთვის არსებითი ცოდნა და კომპეტენციები, რაც მას ციფრულ და სწრაფად ცვალებად გარემოში ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარს უზრუნველყოფს. და ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

,,პროგრამის დასრულების შემდეგ:

1. (Functional Competencies) კრიტიკულად განიხილავს სამუშაოს ანალიზისა და დაგეგმვის როლს პერსონალის შერჩევის, შეფასების, განვითარების, კომპენსაციის და შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნაში;
2. კრიტიკულად მსჯელობს ორგანიზაციულ სტრუქტურაში როლების და გუნდების ინტეგრაციის მნიშვნელობაზე და ორგანიზაციის ტრანსფორმაციის პროცესში გუნდების და პროექტის მართვის მეთოდოლოგიებზე (Agile, Scrum, Kanban, Waterfall);
3. (Business Acumen) აანალიზებს მუდმივად ცვალებად გარემოს, შრომის ბაზარს და კონკურენტების ლანდშაფტს, შესაბამისი HR სტრატეგიის, პროცესების, პრაქტიკის და პროექტების შემუშავების მიზნით;
4. (People Advocacy) იყენებს ლიდერობის, ძალაუფლებისა და კონფლიქტების შესახებ ცოდნას მრავალფეროვანი, თანასწორი და ინკლუზიური (DEI) შრომითი პრაქტიკის დასამკვიდრებლად;

5. (Data Literacy) ატარებს კვლევას, არჩევს და ამუშავებს მონაცემებს, HR ანალიტიკის ტექნიკებით, აგებს მათ გარშემო ნარატივს, ამზადებს მტკიცებულებებზე დამყარებულ დასკვნებს და აკადემიური სტანდარტების დაცვით წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიმღებ მხარეებთან, რათა ხელი შეუწყოს ორგანიზაციული მიზნების მიღწევას და თანამშრომელთა კეთილდღეობას;
6. (Digital Agility) ტექნიკური გუნდისსთვის დავალების გაწერის მიზნით, ახდენს ძირითადი ბიზნეს პროცესების დიაგნოსტირებას/მოდელირებას და მონაწილეობს HR პროცესების გაციფრულებაში

პროგრამის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის მეშვიდე საფეხურისთვის განსაზღვრულ შედეგებთან. **მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, სასურველია, შედეგებში კომპენსაციის საკითხების ცოდნასთან ერთად აისახოს დანახარჯისა და სარგებლის ასპექტების ანალიზის უნარების გამომუშავების საკითხი, რომლის საფუძველზეც მოხდება დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება.** მით უმეტეს, პროგრამა უზრუნველყოფს ამ შედეგს ისეთი სასწავლო კურსით, როგორიცაა მენეჯერული აღრიცხვა და ფინანსები არაფინანსისტებისთვის, რომლის მიზანია სტუდენტს მისცეს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ფუნდამენტური პრინციპების ცოდნა, აგრეთვე კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ზოგადი ანალიზის უნარი. ასევე, სასწავლო კურსი ,,საკომპენსაციო პოლიტიკა და სისტემები" და სამაგისტრო ნაშრომი, რომლებიც უზრუნველეყოფენ შედეგს ფინანსების მიმართულებით.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია დარგობრივი მახასიათებლის შედეგების პროგრამის შედეგებთან და სასწავლო-კვლევით კომპონენტებთან ბმის რუკა.

აღნიშნულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: ,,რეკომენდებულია, სწავლის შედეგები შესაბამისად მიუთითებდეს პროექტების მართვის და კვლევის უნარებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ". შედეგების შესწავლისას დგინდება, რომ ინსტიტუციამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და პროექტების მართვის და კვლევის უნარების გამომუშვების კონკრეტიკა ასახა მეორე, მესამე, მეხუთე და მეექვსე შედეგში, თუმცა სხვა შედეგებიც არაპირდაპირ არის ასახული პროექტების მართვის და კვლევის უნარების დომინანტურობა. ***რეკომენდაცია შესრულდა.***

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

[რეკომენდაციები](#)

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია, შედეგებში კომპენსაციის საკითხების ცოდნასთან ერთად აისახოს დანახარჯისა და სარგებლის ასპექტების ანალიზის უნარების გამომუშავების საკითხი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წინასააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში გაცემულია რეკომენდაცია, კერძოდ: „პროგრამის ფარგლებში გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკების შედგენის და შეფასების პროცესი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი ყოვლისმომცველობა, სიზუსტე და მიზანშეწონილობა.“

წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ პროგრამამ დანერგა სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებში პროგრამის შედეგები დაკავშირებულია საგნის შედეგებთან და საგამოცდო საკითხებთან. ანგარიშებში წარმოდგენილია თითოეული შედეგის მიღწევის პროცენტული ანალიზი და პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება. მაგალითად, შეფასებაში ცალკე არის ნაჩვენები შედეგები, რომლებშიც მიღწევა შედარებით დაბალია და საჭიროებს გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, განხორციელებულია არაპირდაპირი შეფასებაც სტუდენტური გამოკითხვების საშუალებით და ორივე წყაროს შედეგები განიხილება პროგრამის განვითარების საბჭოზე.

მტკიცებულებები აჩვენებს, რომ შეფასების პროცესი გახდა უფრო სტრუქტურირებული, გაზომვადი და შედეგებზე ორიენტირებული.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული **რეკომენდაცია უნდა ჩაითვალოს შესრულებულად.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2024-2025 და 2025-2026 წლების პირდაპირი შეფასების ანგარიშები
- 2025 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის არაპირდაპირი შეფასების ანგარიშები
- პროგრამის განვითარების საბჭოს სხდომების ოქმები, სადაც განხილულია შეფასების შედეგები და შემდგომი ცვლილებები
- ვიზიტის დროს ჩატარენული ინტერვიუები

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების განხორციელებას და იყენებს თანამედროვე, მრავალფეროვან სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. დადებითად უნდა შეფასდეს პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ინტეგრაცია, ასევე ციფრული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე ორიენტაცია.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ძირითად საგნებს და ითვალისწინებს 102 კრედიტის წარმატებით დაგროვებას და დამატებით 18 კრედიტს, რომელიც მიიღება პროგრამის არჩევითი საგნებით. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მენეჯმენტის მაგისტრი.

აღნიშნულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: **რეკომენდებულია, განხორციელდეს "ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის საფუძვლიანი გადახედვა, იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები.** შედეგების შესწავლისას დგინდება, რომ ინსტიტუციამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია პროგრამის სავალდებულო საგნებს დაამატა კურსი „პროექტის მართვა“, ასევე მნიშვნელოვან პროგრესად უნდა შეფასდეს კვლევითი კომპონენტის დიფერენცირება ორ დამოუკიდებელ კურსად: „სოციალურად კონსტრუირებული რეალობის თვისებრივი ანალიზი” და “რაოდენობრივი და სტატისტიკური კვლევის მეთოდები“, ხოლო „აკადემიური წერა“ გადავიდა არჩევით კურსებს შორის. აღნიშნული ცვლილებები აძლიერებს სტუდენტთა კვლევით, ანალიტიკურ და მენეჯერულ კომპეტენციებს. აღნიშნული ცვლილებები აძლიერებს სტუდენტთა კვლევით, ანალიტიკურ და მენეჯერულ კომპეტენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ჩანაწერის მიხედვით, .ბიზნესის ადმინისტრირებაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 120 (ECTS) კრედიტი. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის დიპლომის მისაღებად სტუდენტმა უნდა გაიაროს ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი საგნები (102 ECTS), მათ შორის სამაგისტრო კვლევითი პროექტი (18 ECTS)".

ამასთან, პროგრამით შემოთავაზებულია პროგრაამის ასარჩევი საგნები (13 სასწავლო კურსი). თითოეული სასწავლო კომპონენტი განსაზღვრულია 6 ECTS კრედიტით, რაც დაკავშირებულია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების თავისებურებებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო კურსების სილაბუსები და დაადგინა, რომ კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო მასალა ემყარება ახალ სამეცნირო - პრაქტიკულ ცოდნას და მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგებზე გასვლას.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა და შეისწავლა სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან ბმის რუკა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაიცა რეკომენდაცია: ,,რეკომენდებულია სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაში უზრუნველყოფილ იქნას კვლევის მეთოდების სავალდებულო სწავლა". წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო კურსს ,,რაოდენობრივი და

სტატისტიკური კვლევის მეთოდები“, ასევე ,,სოციალურად კონსტრუირებული რეალობის თვისებრივი ანალიზი“, ხოლო არჩევით დისციპლინებში ,,აკადემიური წერა და კვლევა“, თითოეული 6 ECTS კრედიტის მოცულობით. **რეკომენდაცია შესრულებულია.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი :https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=6053

[რეკომენდაციები](#)

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის No. 224/ ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ინგლისურ ენაში (წერითი) გამოცდის წარმატებით გავლის, ზეპირი გასაუბრების, ადმინისტრაციული რეგისტრაციის და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. ინგლისურის დონის დასადასტურებლად სტუდენტს უღიარდება საერთაშორისო სერტიფიკატები:

- TOEFL IBT – მინიმალური ქულა 80.
- IELTS – მინიმალური ქულა 6.5.
- PTE General – მინიმალური დონე B2.
- FCE – მინიმალური დონე B.
- CPE - საკმაირისია ჩაბარება.
- CAE - საკმარისია ჩაბარება.

სტუდენტებს ასევე უღიარდებათ საქართველოს უნივერსიტეტში გავლილი ინგლისურის B2/2 დონე. სტუდენტებს,რომლებსაც არ გააჩნიათ ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი, საქართველოს უნივერსიტეტი ჩაუტარებს B2 დონის შესაბამის ტესტს, სადაც კომპეტენციის დადასტურებად ჩაითვლება ტესტის 70% გადალახვა.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა გასაუბრების თემატიკა და შეფასების რუბრიკა, რაც მოწოდებული იქნა დამატებით დოკუმენტების სახით. გასაუბრების თემატიკა იძლევა შესაძლებლობას შერჩეულ იქნას ის კონტინგენტი, რომელიც ეფექტიანად განახორციელებს სწავლას შესაფასებელ პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- სტუდენტთა პროგრამაზე რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- გასაუბრების თემატიკა და შეფასების რუბრიკა;
- ინგლისური ენის შაბლონი და შეფასების სქემა.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[2.1 **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**]	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამით გათვალსწინებულ სწავლა-სწავლების მეთოდებში მოცემულია კვლევით პროექტზე მუშაობის, პრაქტიკული მუშაობის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, პროექტებზე დაფუძნებული სწავლების, როლური თამაშების, სიმულაციის, ქმედებებზე დაფუძნებული სწავლების, შემთხვევის შესწავლის და ანალიზის და წერითი მუშაობის მეთოდები,

ამასთან, პროგრამით გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი (18 ECTS კრედიტი), რომელიც შემოთავაზებულია სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში.

სამაგისტრო ნაშრომი არის სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელშიც უნდა აისახოს სტუდენტის მიერ სამაგისტრო სწავლების პროცესში შეძენილი სიღრმისეული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.ასევე, პროექტის მართვა (6 ECTS კრედიტი), სოციალურად კონსტრუირებული რეალობის თვისებრივი ანალიზი (6 ECTS კრედიტი), რაოდენობრივი და სტატისტიკური კვლევის მეთოდები (6 ECTS კრედიტი).

სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ ინსტიტუცია სთავაზობს უფასო ტრენინგებს ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, მათ შორის ცნობადი ტრენერების ჩართულობით. ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ღონისძიებები სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2025-2026 წელს განხორციელდა სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებები 1. Zahid Mubarik SHRM-SCP, SPHRi, GPHR-ის ვორკშოპი HR საერთაშორისო სტანდარტებზე 2. გაეროს ქალთა ორგანიზაციის და EVA-ს ერთობლივი ღონისძიება HR პროფესიონალებისთვის ღონისძიების დაფინანსება სტუდენტებისთვის 3. სტუდენტური ჰაკათონი ციფრული ტრანსფორმაციისა და Agile პროექტების მიმართულებით 4. ევროპის ინოვაციური აკადემიის საზაფხულო პროექტში ბიზნესის სკოლის სტუდენტების მონაწილეობა 5. ონლაინ სემინარი: Writing a Scientific Paper - Essential Information and Tips 6. საჯარო სემინარი: Y და Z თაობების უპირატესობები ინფლუენსერების მარკეტინგთან მიმართებაში 7. Agile-ის ტრენინგი ბიზნეს ანალიზისა და პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით 8. GLocal Evaluation Week 2025 - პანელური დისკუსიები საქართველოს უნივერსიტეტში 9. Chinese Language Online Program / Free HSK 1 Course ჩინური სტიპენდიის მოპოვების მიზნით 10. საჯარო ლექციები (დაახლოებით 10 სასჯარო ლექცია წელიწადში).

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სამაგისტრო ნაშრომები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ნაშრომები შესრულებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციის შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ერთ-ერთი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგები წარდგენილი იყო გადაცემა ,,BMG"პლატფორმაზე და დიდი დაინტერესება დაიმსახურა.

ექსპერტების მხრიდან დაისვა შეკითხვა პრაქტიკის არჩევითი კომპონენტის შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმაციით, სამაგისტრო პროგრამაზე ძირითადად ამ მიმართულებით დასაქმებულები აგრძელებენ სწავლას. დიდი დაინტერესებაა აღმასრულებელი პროგრამის მიმართულებით. თუ სტუდენტი საჭიროებს პრაქტიკული უნარების განვითარებას, ის ირჩევს პრაქტიკის კომპონენტს.

სტუდენტებთან გასაუბრებისას, 5-დან მხოლოდ 1 იყო არასპეციალობით დასაქმებული, რაც ამყარებს პრაქტიკის არჩევითობის კომპონენტის არგუმენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველეყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- სამაგისტრო ნაშრომები.

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.2 **პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

2.3 ქვესტანდარტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია იყო შემდეგი: „პროგრამაში და სილაბუსებში სრულყოფილად და ზუსტად იყოს აღწერილი სწავლების მეთოდები და აქტივობები. "

დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა განაახლა სწავლების მეთოდებისა და აქტივობების სახელმძღვანელო, გააფართოვა მეთოდების ჩამონათვალი და თითოეულ მათგანზე მოამზადა დეტალური აღწერები. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც სილაბუსებში, ისე ელექტრონულ სასწავლო სისტემაში.

სტუდენტური შეფასებებიც ადასტურებს, რომ სწავლების მეთოდები, სასწავლო აქტივობები და კურსების ორგანიზება ძირითადად პოზიტიურად ფასდება.

რეკომენდაცია შესრულდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განახლებული პროგრამა და სილაბუსები
- სტუდენტური გამოკითხვების შედეგები

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნული სტანდარტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია : „შევიდეს ცვლილებები რეგულაციებში იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური შეფასების კომპონენტი.“

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ პროგრამამ განახორციელა სტრუქტურული ცვლილებები და კვლევითი კომპონენტის გადახედვა. პროგრამაში დამატებულია კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული ახალი კომპონენტები და გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული პროცედურები.

წარმოდგენილია „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია“, სადაც დეტალურადაა გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, წინაპირობები, შესრულების ეტაპები, შეფასების კრიტერიუმები და საბოლოო დაცვის შეფასების კომპონენტები.

დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ სამაგისტრო ნაშრომი არის სტუდენტის მიერ შესრულებული ინდივიდუალური სამუშაო, რომლის მიზანია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან სტუდენტის სიღრმისეული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შესაბამისობის გამოვლენა. ასევე განსაზღვრულია ნაშრომის შესრულების ეტაპები: კონცეფციის წარდგენა, წინასწარი განაცხადი და ნაშრომის დაცვა. თითოეულ ეტაპზე გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, ხოლო საბოლოო დაცვისთვის განსაზღვრულია 100-ქულიანი შეფასების სისტემა, მათ შორის ნაშრომის აქტუალობა, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდოლოგია, მონაცემების დამუშავება, დასკვნები, პრეზენტაცია და დისკუსია.

დოკუმენტით ასევე დასტურდება, რომ შეფასება უკავშირდება სტუდენტის ინდივიდუალურ კვლევით, ანალიტიკურ და კომუნიკაციურ უნარებს. შესაბამისად, **წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაცია, შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განახლებული მახასიათებლები.

- პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმები.
- მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომები და შესაბამისი დოკუმენტაცია

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1_სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2_მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ების, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, აკადემიური/პრაქტიკული საქმიანობა შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულების თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას, ასევე მათზე დაკისრებული სხვა აკადემიური და პროფესიული ფუნქციების შესრულებას. პერსონალის შემადგენლობა და ჩართულობის ხარისხი ქმნის პროგრამის სტაბილური და მდგრადი განვითარების წინაპირობას. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის ცხრილი

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**22**	**16**	**7**	**10**
- პროფესორი	5	3	3	5
- ასოცირებული პროფესორი	5	4	4	5
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	10	9	0	_
სამეცნიერო პერსონალი	2	0	0	_
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი	1	0	0	0

პროგრამის კონცეფცია ორიენტირებულია როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებაზე და შესაბამისი პროფილის კურსებში წარმოდგენილია როგორც აკადემიური გამოცდილების მქონე პერსონალი, ასევე პრაქტიკოსი სპეციალისტები. აღნიშნული ქმნის შესაძლებლობას, რომ სტუდენტებმა მიიღონ მრავალმხრივი ცოდნა და პრაქტიკული უნარები თანამედროვე HR გარემოს მოთხოვნების შესაბამისად. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დადებითია, რაც პროგრამის მდგრადობაზე მეტყველებს.

საერთო ჯამში, პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება ძირითადად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, თუმცა პროგრამის თანამედროვე და ტექნოლოგიურად ორიენტირებული პროფილის გათვალისწინებით, სასურველია გაგრძელდეს პერსონალის პროფესიული განვითარების, პრაქტიკული ინდუსტრიული გამოცდილებისა და საერთაშორისო კომპონენტის შემდგომი გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პერსონალის CV-ების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი პროგრამაში ჩართულია მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო სწავლების მარეგულირებელი შესაბამისი შიდა ნორმატიული დოკუმენტები, მათ შორის მაგისტრატურის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამების განხორციელების, ხელმძღვანელობისა და სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის ძირითად პრინციპებს.

შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელები, რომელთა აკადემიური და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომების შესრულებას დარგობრივი სტანდარტებისა და თანამედროვე პროფესიული ტენდენციების გათვალისწინებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტებს ხელმისაწვდომობა აქვთ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას, ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას, სტუდენტთა აკადემიურ მხარდაჭერასა და პროგრამით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულებას. პერსონალის რაოდენობა და ჩართულობა ასევე ქმნის პროგრამის მდგრადობის საფუძველს.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**16**	**7**	**10**
- პროფესორი	3	4	5
- ასოცირებული პროფესორი	4	3	5
- ასისტენტ-პროფესორი	0	-	-
მოწვეული პერსონალი	9	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია]	შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას სტრუქტურირებული ტრენინგების, სემინარებისა და საერთაშორისო პროფესიულ და აკადემიურ ქსელებში ჩართულობის გზით. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის AACSB-ისა და CEEMAN-ის წევრობა, რაც აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს ბიზნესის განათლების თანამედროვე გლობალურ ტენდენციებს, სწავლა-სწავლების ინოვაციურ მიდგომებსა და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს დინამიური, თანამედროვე და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირებას. აღნიშნული მიდგომა შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებთან და ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

უნივერსიტეის მიერ გაზიარებული დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, რაც მოიცავს საერთაშორისო ტრენინგებს, ვორკშოპებს, სასერტიფიკატო პროგრამებსა და სამეცნიერო საქმიანობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელოვნური ინტელექტის, კვლევის მეთოდოლოგიის, აკადემიური წერის, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებებს. პერსონალის ნაწილი ჩართულია საერთაშორისო უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების (Harvard University, CEEMAN, Pearson Higher Education, Rome University, Parthenope University და სხვ.) მიერ ორგანიზებულ პროგრამებში, რაც ხელს უწყობს მათი პროფესიული და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული აქტივობები ადასტურებს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით და პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე საგანმანათლებლო და დარგობრივ მოთხოვნებთან.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროფესიული განვითარების პოლიტიკა და საერთაშორისო აკადემიურ ქსელებში ჩართულობა ქმნის საფუძველს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური გარემოს არსებობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- დოკუმენტი: აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი დოკუმენტები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, რაც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. აკრედიტაციის ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს უნივერსიტეტი სისტემურად ზრუნავს ინფრასტრუქტურის, საბიბლიოთეკო და ციფრული რესურსების განვითარებასა და განახლებაზე.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმატით. ბიბლიოთეკის კატალოგში დაფიქსირებულია რა ფორმითაა ხელმისაწვდომი კონკრეტული რესურსი. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ხელმისაწვდომობა აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, აკადემიურ რესურსებსა და ციფრულ საგანმანათლებლო მასალებზე, რაც ხელს უწყობს როგორც სასწავლო, ისე კვლევითი პროცესის ეფექტიან განხორციელებას.

საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილ სასწავლო სივრცეებს, მათ შორის:

- კეთილმოწყობილ აუდიტორიებს;
- კომპიუტერულ რესურსებზე ხელმისაწვდომ სამუშაო სივრცეებს;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილ გარემოს;
- უნივერსიტეტის ციფრულ პლატფორმებსა და საინფორმაციო სისტემებზე წვდომას.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტის არსებული მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ციფრული რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო გარემოს არსებობას და შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკა, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსები და მათი საკუთრების/ლიცენზიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ტექნიკური აღჭურვილობა და მისი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან;
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ საბაზისო ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომის ინდიკატორები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- გასაუბრებისს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისა და განვითარების შესაძლებლობას.

ბიუჯეტის ანალიზისა და ინტერვუების შედეგად გამოიკვეთა, რომ უსდ საგანმანათლებლო პროგრამებს ფინანსურად უზრუნველყოფს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში, რაც მოიცავს:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას;
- საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსების განახლებას;
- კვლევითი და განვითარების აქტივობების მხარდაჭერას;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერას;
- სტუდენტურ აქტივობებსა და აკადემიურ ღონისძიებებს.

ბიუჯეტი მოიცავს როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან საჭიროებებს, მათ შორის:

- აკადემიური კონფერენციების ორგანიზებას;
- კვლევით და აკადემიურ გრანტებს;
- მარკეტინგულ და საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობებს;
- პერსონალის პროფესიულ განვითარებას;
- სტუდენტური სტიპენდიებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინა აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული **რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც პროგრამების განხორციელებისა და განვითარებისათვის განსაზღვრული ხარჯები საჭიროებების მიხედვით უნდა დაყოფილიყო**, ინსტიტუციის მიერ გათვალისწინებულია. წარმოდგენილ ბიუჯეტში ხარჯვითი კატეგორიები უფრო დეტალურად და სტრუქტურირებულად არის წარმოდგენილი, რაც ხელს უწყობს ფინანსური რესურსების მიზნობრივ დაგეგმვასა და პროგრამების ფინანსური მდგრადობის შეფასებას. **რეკომენდაცია შესრულდა.**

საერთო ჯამში, წარმოდგენილი ფინანსური რესურსები და ბიუჯეტის დაგეგმვის მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსურ მდგრადობას და შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- გასაუბრებისს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა]	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შიდა ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს გაცემული ჰქონდა შემდეგი რეკომენდაცია: „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების განვითარების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროგრამების „შემოწმების“ (Check) და „დახვეწის“ (Act) ეტაპებს.“

მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში ფუნქციონირებს შეფასება–ანალიზი–გადაწყვეტილება–გაუმჯობესების ციკლი. განხორციელდა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასებები, მომზადდა ანალიტიკური ანგარიშები, ხოლო შედეგები განხილულ იქნა პროგრამის განვითარების საბჭოზე. მიღებული მიგნებების საფუძველზე პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა: ა) გადახედა კვლევის კომპონენტს და შეცვალა კვლევის საგნების სტრუქტურა ბ) დაამატა პროექტის მენეჯმენტის სასწავლო კურსი გ) განაახლა სასწავლო კურსების ლიტერატურა დ) რეგულარულად განიხილა შეფასების შედეგები საბჭოს სხდომებზე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „Check“ და „Act“ ეტაპები უკვე გადაწყვეტილებებში და პროგრამულ ცვლილებებში აისახება. **რეკომენდაცია შესრულდა.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების ანგარიში, სადაც აღწერილია PDCA ციკლის გამოყენება და რეკომენდაციების საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები
- 2025 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ანგარიშები
- ოქმები, რომლებშიც შეფასების შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებულია კონკრეტული გადაწყვეტილებები
- ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი იყენებს როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს. შიდა შეფასებაზე პასუხისმგებელია პროგრამის განვითარების საბჭო. გარე შეფასება მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს და გამოხმაურებას აკრედიტაციის ან შუალედური ანგარიშებიდან. ინსტიტუცია იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ამ კონკრეტულ პროგრამაზე, მანამდე განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში რეკომენდაციები არ გაცემულა,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების ანგარიში, სადაც აღწერილია PDCA ციკლის გამოყენება და რეკომენდაციების საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები
- 2025 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ანგარიშები
- ოქმები, რომლებშიც შეფასების შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებულია კონკრეტული გადაწყვეტილებები
- ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნულ ნაწილში გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაცია: „გაძლიერდეს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისგან უფრო დეტალური უკუკავშირის შეგროვების მიზნით, პროგრამების ხელმძღვანელობის ასპექტებთან დაკავშირებით."

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ: შეფასების ინსტრუმენტები გაცილებით დეტალურია, ვიდრე მხოლოდ კმაყოფილების ზოგადი კვლევა. კითხვარები მოიცავს კურსის ორგანიზებას, ლექტორის მუშაობას, კომუნიკაციას, უკუკავშირს, ჩართულობას, სასწავლო რესურსებსა და კურსის შედეგების მიღწევას. შედეგები ანალიზდება რაოდენობრივად და თვისებრივად; იდენტიფიცირდება პრობლემური საკითხები (მაგალითად, უკუკავშირის ხარისხი, სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება, მასალის ახსნის სიცხადე) და განისაზღვრება შემდგომი ღონისძიებები. გარდა ამისა, გარკვეული პერიოდულობით ხდება დამსაქმებელთა უკუკავშირის სისტემური ანალიზი. **რეკომენდაცია შესრულდა.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2025 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სტუდენტური გამოკითხვების დეტალური ანალიზები
- პირდაპირი შეფასების ანგარიშები, რომლებშიც თითოეული სწავლის შედეგი ცალკეულ საგამოცდო საკითხებთან არის მიბმული და გაანალიზებული
- პროგრამის განვითარების საბჭოს სხდომების ოქმები, სადაც განხილულია შეფასებების შედეგები და მიღებულია შემდგომი გადაწყვეტილებები

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება]	შესაბამისობაშია

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ნათია დაღელიშვილი

ნინო პატარაია